შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N47/09.07.2021
ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის ბრძანებით N80/15.07.2024.

კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები

თავი I – ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში - პროგრამა) ჩარიცხვის წესი და პირობები (შემდგომში - წესი) ადგენს პროგრამაზე პირთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები"-ს შესაბამისად.

მუხლი 2. წესის მიზანი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურებს.
2. აღნიშნული წესის მიზანია პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის რეგულირება, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.
3. პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზანია დეცენტრალიზებული, სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური და გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

თავი II – პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესის დაგეგმვა და ორგანიზება

მუხლი 3. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. კოლეჯი, მომართვის შემთხვევაში, დაინტერესებული პირებისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილების მხარდასაჭერად:
ა) გააცნობს მათ პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;
ბ) მიაწოდებს ინფორმაციას კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;
გ) მიაწოდებს ინფორმაციას პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარება რეგისტრაციაში;
დ) მიაწოდებს ინფორმაციას საგანამანათლებლო სერვისების, მათ შორის პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელების, დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი, პროგრამის განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები) და სხვა მახასიათებლების შესახებ.
2. დაინტერესებულ პირთა კონსულტაციას კოლეჯი ახორციელებს მთელი წლის განმავლობაში.

მუხლი 4. პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

1. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
გ) შერჩევა;
დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ – მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
ე) შედეგების გამოცხადება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება.

მუხლი 5. დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრა

1. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, კოლეჯი, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.
2. მისაღები პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:
ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;
ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;
გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში www.vet.emis.ge და რეგისტრირდება აპლიკანტად.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
4. მართვის სისტემაში არსებული მონაცემების გათვალისწინებით, აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს შეზღუდული აქვს პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება,

გარდა ამ წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტისა.

5. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დაწესებულების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.

6. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.

7. მართვის სისტემა აპლიკანტთა რეგისტრაციის ეტაპზე, აპლიკანტის განათლების მიღწეული დონის შესახებ ინფორმაციას, შესაბამის პროგრამაზე დაშვების წინაპირობის დაცვის მიზნით, ამოწმებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემებში, აპლიკანტის შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში.

8. აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.

9. აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომ – ცენტრი) იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

მუხლი 7. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასებას.

2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო უცხოენოვანი პროგრამის არსებობის შემთხვევაში ამ პროგრამის ენაზე.

4. აპლიკანტი, რომელიც საგამოცდო ენად მიუთითებს რუსულ, სომხურ, ან აზერბაიჯანულ ენას, შერჩევას გაივლის მის მიერ შერჩეულ ენაზე.

5. შიდა შეფასება ტარდება კოლეჯში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

6. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება კოლეჯის მიერ ორგანიზებული გასაუბრების საფუძველზე.

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება გასაუბრების საფუძველზე.

8. ისეთ პროგრამებზე, რომელთა განხორციელების ერთადერთ შესაძლებლობად საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტის მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ამ შემთხვევაში, შერჩევა ხორციელდება შესაბამისი სახის პროგრამისთვის დადგენილი წესით.

9. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სადაც სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად შეფასება შესაძლოა განხორციელდეს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების გზით, კოლეჯი შერჩევის ძირითად მეთოდად ანკეტა-კითხვარის შევსების ეტაპზე, ამ პროგრამებისთვის, განსაზღვრავს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას.
10. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე.
11. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
12. ტესტირებაში მონაწილეობს უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომლისთვისაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება.
13. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.
14. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს დაწესებულების შეფასებისთვის ან ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის განსაზღვრულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
15. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად, შესაძლებელია კოლეჯის მიერ დამატებით განსაზღვრული იყოს გასაუბრება. თუ პროგრამაზე მიღებისთვის ტესტირებასთან ერთად დადგენილია შეფასება კოლეჯის მიერ, თითოეული შეფასების შედეგების ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
16. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კოლეჯი უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი დამატებით შერჩევაზე.

მუხლი 8. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება

1. კოლეჯში თითოეულ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აპლიკანტთა შეფასების თარიღი და დრო განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით, მინისტრის მიერ განსაზღვრული შერჩევის პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და განთავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.
2. აპლიკანტები შეფასების თარიღის და დროის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეფასების პროცესამდე მინიმუმ 2 სამუშაო დღით ადრე.
3. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს კოლეჯში შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის (ბინადრობის) დამადასტურებელი დოკუმენტი/პასპორტი, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებული განაცხადი/განცხადება-ანკეტა, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი.

ასევე, აპლიკანტი ვალდებულია წარმოადგინოს სარეგისტრაციო სისტემიდან ამობეჭდილი საგამოცდო ბარათი. საბუთების გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება შერჩევაზე.
4. ტესტირების პროცესი რეგულირდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად.
5. აპლიკანტმა ტესტირებაზე გასვლის მიზნით, საგამოცდო ცენტრში უნდა გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციისას აპლიკანტი წარადგენს: პირადობის (ბინადრობის) მოწმობას/პასპორტს, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებულ განაცხადს/განცხადება-ანკეტას, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი. ასევე, აპლიკანტი წარადგენს სარეგისტრაციო სისტემიდან საგამოცდო ბარათს.

თავი III – გასაუბრება

მუხლი 9. გასაუბრებაში მონაწილეობის უფლება

1. გასაუბრებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზე შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის განსაზღვრულია გასაუბრება.
2. გასაუბრებას ატარებს შესარჩევი კომისია.

მუხლი 10. შესარჩევი კომისიის შექმნა

1. შესარჩევი კომისია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.
2. შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მდივანი და წევრ(ებ)ი. აუცილებელია კომისაში შედიოდეს დამსაქმებელი/პარტნიორი ორგანიზაციის წარმომდაგენელი.
3. თითოეული პროგრამისთვის, კონკრეტული მიღებისთვის შესარჩევი კომისიის ან პარტნიორი ორგანიზაციის მიერ მუშავდება გასაუბრების კითხვები/შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.
4. შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.
5. აპლიკანტთა შეფასება არის დიფერენცირებული და მინიმალური კომპეტენციის ზღვარია მაქსიმალური ქულის 1/5. შესარჩევი კომისია, მაქსიმალურ ქულას განსაზღვრავს ინდივიდუალურად, პროგრამების მიხედვით.
6. გასაუბრებისას, შესარჩევი კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, კომისიის მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და ასახავს სისტემაში.

7. შესარჩევი კომისია ვალდებულია სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების „შესარჩევი კომისიისთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ“ საფუძველზე, ხელახლა განიხილოს აპლიკანტის/საჩივრის ავტორის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება. შესარჩევი კომისია ვალდებულია საკითხის განსახილველად სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება შესარჩევი კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. ამ შემთხვევაში, შესარჩევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავი IV – განმეორებითი შეფასება

მუხლი 11. აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში (განმეორებით) შეფასების უზრუნველყოფის წესი და პირობები

1. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გამოცხადა შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს გასაუბრებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს კოლეჯის ხელმძღვანელს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.
2. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ხდება აპლიკანტისთვის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.
3. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში.
4. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.

თავი V – აპელაცია

მუხლი 12. გასაუბრების შედეგების აპელაციის წესი და ვადები

1. აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შედეგები მისი გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.
2. საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ბრძანებით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (მინიმუმ 3 წევრი).
3. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ან/და პროფესიული განათლების მასწავლებლები, ან/და დარგის სპეციალისტები, ან/და დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში

საპელაციო კომისიაში შედის პროგრამის თანაგანმახორციელებელი და სხვა პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენელ(ებ)ი.
4. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.
5. სააპელაციო კომისია ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
6. სააპელაციო კომისია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა შესარჩევი კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ;
ბ) შესარჩევი კომისიისთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.
7. სააპელაციო კომისიის წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
8. სააპელაციო კომისია ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
9. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
10. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
11. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.

თავი VI – რეიტინგული სიის შედგენა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება/ჩარიცხვა

მუხლი 13. აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა

1. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება დაწესებულების ბრძანებით.
2. იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, კოლეჯი რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.

4. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
6. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:
ა) იმ აპლიკანტთა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება.
ბ) იმ აპლიკანტთა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება.
6. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული რეიტინგული სიის შედგენისას, აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
7. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
8. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.
9. თუ ამ მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს.

მუხლი 14. საბოლოო არჩევანი და შედეგების გამოცხადება

1. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:
ა) დაწესებულებისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.

2. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროგრამა აქვს არჩეული, აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შემდეგ, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება.
3. საბოლოო არჩევანის მონიშვნის ვადის ამოწურვიდან მომდევნო სამუშაო დღეს მართვის სისტემა უზრუნველყოფს:
ა) კოლეჯისთვის აპლიკანტთა საბოლოო არჩევანის გათვალისწინებით რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სარეგისტრაციო სისტემაში, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულისა და მისი საბოლოო არჩევანის გათვალისწინებით.

მუხლი 15. აპლიკანტთა ჩარიცხვა

1. დაწესებულება ვალდებულია აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
2. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) 30%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.
3. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
ა) კოლეჯის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, რომელიც შესაძლოა გამოხატული იყოს წერილობით ან ელ.ფოსტის საშუალებით;
გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
4. მიმღები კომისიის მიერ ხდება დოკუმენტაციის შეფასება და პროგრამის ფარგლებში მისაღები კვოტის შესაბამისად იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომელთაც მოიპოვეს ჩარიცხვის უფლება.
5. მიმღები კომისიის გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი) წარედგინება დირექტორს, რომლის საფუძველზეც გამოიცემა დირექტორის ბრძანება აპლიკანტისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ. კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრ(ებ)ი.
6. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების

შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
7. კოლეჯი უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

თავი VII – პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

მუხლი 16. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. შერჩევის ფორმად ამ შემთხვევაში შესაძლებელია განისაზღვროს გასაუბრება.
3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაცია, შერჩევის პერიოდში აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VIII – უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხვა

მუხლი 17. უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხვა

1. უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ერთხელ.
2. უცხოენოვან პროგრამაზე მიღების გამოცხადება, აპლიკანტთა რეგისტრაცია, შერჩევა და პირთა ჩარიცხვა ხორციელდება კოლეჯის მიერ დადგენილი წესით, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ამ წესით განსაზღვრული ჩარიცხვის პროცედურის განსხვავებულ ვადებსა და ეტაპებს.
3. კოლეჯის მიერ უცხოენოვან პროგრამაზე ჩარიცხვისთვის დადგენილი პირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შემოწმებას, ასევე პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
4. უცხოენოვანი პროგრამა არ ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ენის, ასევე იმ მოდულების სწავლებას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
5. უცხოენოვან პროგრამაზე შერჩევა ხორციელდება პროგრამის განხორციელების ენაზე.
6. უცხოენოვან პროგრამაზე მიღება ცხადდება დირექტორის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება:
ა) მისაღები პროგრამების ჩამონათვალი და ამ მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, ჩარიცხვის ეტაპები და ვადები;
ბ) პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
გ) პროგრამის განხორციელების ენის ფლობის დონე და შესაბამის დონეზე ენის ფლობის დადასტურების პირობები;
დ) კოლეჯის მიერ დადგენილი სხვა პირობები.
7. უცხოენოვან პროგრამაზე მიღებისთვის გამოცემული აქტი, მისი გამოცემიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.
8. ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია უფასოა და წარმოებს ადგილზე პასპორტისა და მისი ქართული თარგმანის წარდგენისას.
9. პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით, ყველა აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს გასაუბრება.
10. გასაუბრების ვიდეოჩანაწერი იტვირთება კოლეჯის ღრუბლოვან საცავში ერთი წლით.
11. სწავლის მსურველმა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში დოკუმენტაციის წარდგენამდე, უნდა მოახდინოს უცხოეთში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
12. ყველა დოკუმენტი უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე და დადასტურდეს ნოტარიულად. არასრული დოკუმენტაციის შემთხვევაში საბუთები არ მიიღება განსახილველად.
13. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

თავი IX – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები

მუხლი 18. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა

1. სპეცილური საგანანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები კოლეჯში ირიცხებიან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.
2. პირს, რომელსაც მულტიდისციპილინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს შერჩევისთვის გათვალისწინებულ ვადაში.
3. რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებულ პროგრამაზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გადის ამ წესით გათვალისწინებულ გასაუბრებას.
4. კოლეჯი განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
5. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით დირექტორის მიერ გამოიცემა ბრძანება. მონაცემები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ხდება აპლიკანტის ინფორმირება სატელეფონო ან/და ელეტრონულის ფოსტის საშუალებით.

თავი X – დოკუმენტაციის წარდგენა

მუხლი 19. პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაცია

1. განცხადების შევსებულ ფორმას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე, თან ერთვის:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ა[1]) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის სათანადო უფლებამოსილებას (დაბადების მოწმობა და/ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);

ა[2]) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი/ ასლი ან დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (საბაზო განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი) ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე ან ცნობა შესაბამისი სწავლის საფეხურის დაძლევის შესახებ;
ბ[1]) უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტი;
გ) ფოტოსურათი;
დ) 17 წელს მიღწეული პირებისათვის (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) - წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. დოკუმენტები განცხადებასთან ერთად, შესაძლებელია წარდგენილი იყოს კოლეჯში მატერიალურად, ან ელექტრონულად, კოლეჯის ელ. ფოსტაზე.
3. პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, მინისტრის მიერ განსაზღვრული ვადების შესაბამისად.
4. აპლიკანტისთვის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს არასრულად დოკუმენტაციის წარდგენა ან/და წარუდგენლობა, ან/და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაუკმაყოფილებლობა.
5. დაწესებულება უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.
5[1]. პირი ვალდებულია, პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში, კოლეჯს წარმოუდგინოს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა.
6. ხელშეკრულება ფორმდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შემდეგ სწავლის დაწყებამდე.

თავი XI – დასკვნითი დებულებები

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

1. დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით.